

# ლიტერატურა

## ხელი



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბის“ დამატება  
№5, 29 მაისი, სამშაბათი, 2018 წელი

ილია ჭავჭავაძის სამართლებრივი აზროვნება  
მხატვრულ შემოქმედებასა და პუბლიცისტიკაში  
(ნაშრომი ეძღვნება ილიას 180 წლის იუბილეს)

ილია ჭავჭავაძე ქართველი კაცის ცნობიერებაში ასოცირდება ერის მამად, ეროვნულ გმირად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სულის ჩამდგმელად მე-19 საუკუნეში, დიდ ქართველად და მამულიშვილად. მის შრომებში თავმოყრილია შეხედულებები ლიპერალიზმზე, ისტორიულ მექანიზმებისა და ეროვნულ ლირებულებებზე, ერსა და სახელმწიფოზე, თვითმმართველობაზე, რელიგიაზე, პოლიტიკურ სისტემებზე, განათლებაზე, მეცნიერებასა და კულტურაზე, საბაზრო ეკონომიკასა და სოციალურ პრობლემებზე, კერძო საკუთრებაზე, დემოკრატიასა და არჩევნებზე, და, ბოლოს, სიკედლით დასჯაზე.

ილიას სამართლებრივი აზროვნების მიმართულებით მისი ფენომენის მკვლევარებს არაფერი დაუწერიათ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პროფესორ ოთარ გამყრელიძის ნაშრომს – „ილია სამართლებრივი ნიპოლიზმის წინააღმდეგ“. ილია ჭავჭავაძეს სამართლებრივი შეხედულებები რომ ჩამოყალიბებული ექნებოდა, ეს გასაკვირიც არ უნდა იყოს, რადგან იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში, ოთხი წლის განმავლობაში სწავლობდა იურიდიულ ფაკულტეტზე, ეუფლებოდა ევროპის სამართლებრივი აზროვნების ფილოსოფიას და აყალიბებდა საკუთარ შეხედულებებს სამართლის საკითხებთან დაკავშირებით. პროფესორი ოთარ გამყრელიძე წერდა:

„ხალხს, რომელიც მოწოდებულია, რომ ნამდვილი, თანამედროვე კულტურული ცხოვრება შექმნას და ამით ცივილიზებულ, მაღალგანვითარებულ ერთა რიგში ჩადგეს, კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული სამართლის მნიშვნელობა საზოგადოებრივი ცხოვრების წარმატებისათვის და ნიადაგ უნდა ზრუნავდეს, გამუდმებით უნდა ესწრაფვოდეს თავისი ცხოვრების დემოკრატიზაციას“. დემოკრატიზაციის მთავარი პრინციპი კი ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობაში მდგომარეობს.

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „ერთი დიდი სახელოვანი საქმე მე-19 საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, რომ მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულ მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი – ყველას თანასწორად შესაწყნარებელი და გულშემატკიციარია“.

ილია სოციალური წარმოშობის მქონე წოდებათა შორის დაპირისპირებას ერის დამღუპველ საქმედ აფასებდა და ქადაგებდა კლასთა შერიგებას და მათი უფლებების გათანაბრებას.

„ქვეყანაზე მარტო იმ ერს გაუძლია, იმ ერს გამოუტანია თავი ათასგარი განსაცდელისაგან, მარტო იმ ერს წარუმატნია, რომელსაც თავის დროზე შეუტყვია და მიუგნია, რომ ერთ რომელსამე წოდების წინ წამოწევა არაფნის მაქნისია, თუ დანარჩენი ერიც წინ არ წაწეულა. პირიქით, ერთის წოდების წინ წაწევას დანარჩენის უკან დაწევა მოჰყოლია“.

ამრიგად, ილიას აზრით, საზოგადოების კლასებად დაყოფას და

ერთი კლასისთვის უპირატესობის მინიჭებას, შედეგად, ყოველთვის მოჰყოლია სხვა კლასის წარმომადგენელთა უფლებების შეზღუდვა, რაც სამართალთან წინააღმდეგობაში მოდის. საზოგადოების კლასებად დაყოფა ყოველთვის იყო საფუძველი ანტაგონიზმის, კლასობრივ-წოდებრივი ბრძოლისა. ამის ნათელ მაგალითს ილია ხატოვნად გადმოგვცემს პოემაში: „რამდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩალის ცხოვრებიდან“. როგორც ჩანს, მნერალს ადამიანის თავისუფლებასა და თანასწორობაზე საფუძვლები შოთა რუსთაველიდან აულია. დასახელებულ პოემას წინ უძღვის რუსთაველის სტრიქონები:

„მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,  
მიღწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.“

არ შეიძლება, ყურადღება არ მივაპყროთ ილიას შეხედულებებს ადამიანთა უფლება-მოვალეობების შესახებ. იგი წერდა: „რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ე. ი. კაცთა უფლება და მოვალეობა ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოდ, იმ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველდღე უკან არ იწევს, შეუფერხებელი ხომ არის და არის!“

ქვეყნის მდიდარი რესურსები მის განვითარებას ხელს ვერ შეუწყობს, თუ სამართალი საზოგადოებრივი ცხოვრების ავანგარდი არ იქნება. სამართლებრივი აზროვნება, რომელიც ილიას ჩამოუყალიბდა სათავეს შეუა საუკუნეებიდან იღებს. ამაზე ნათლად მეტყველებს რუსთაველის აფორიზმი: „ქმნა მართლისა სიმართლისა, ხესა შეიქმნა ხმელსა ნედლად“. რუსთაველი „მართალ სამართალს“ ანიჭებს რაღაც მაგიურ ძალას, რომელსაც შეუძლია ხმელი ხე ნედლად აქციოს.

ვახტანგ მეექვისის მიერ შედგენილ სამართლის წიგნში ვკითხულობთ: „უსამართლობა ამ სოფელს კაცსა უძეოდ აღმოგზვრის და გარდაავლინებს, დღეთსიგრძეობასა მოაკლებს, ქვეყანას აუოხრებს, ფანი ტვარს დააკლებს და ქვეყანა – ნაყოფს. ამ სოფელს შეარცხვენს და იმ სოფელს წარწყმედს და საუკუნო სატანჯველს დაუმკვიდრებს. ესენი ყველა უსამართლობისაგან გამოვლენ და სამართლის ქმნა მეფესა და მსაჯულისა ამა ყოვლის ბოროტისაგან შორედ ჰყოფს და განდევნის“. როგორც ჩანს, ვახტანგ მეექვისის აზრით, მეფესა და მსაჯულს ევალება სამართლის ქმნა, რათა უსამართლობისაგან გამომდინარეობს ყველა უარყოფითი შედეგი. ასეთი სამართლებრივი აზროვნება იყო დამკვიდრებული საქართველოში მე-19 საუკუნის ბოლომდე, და სწორედ ამის გამოძახილია აღწერილი ილიას სიტყვებში.

არ შეიძლება, აქვე არ ვისაუბროთ „ილიას საარჩევნო კანონმდებლობის სრულყოფისა და ელექტორატის გაფართოების პროცესის შესახებ“.

საყოველთაო საარჩევნო უფლება მე-19 საუკუნის მსოფლიოში ჯერ კიდევ დაუხვეწავი იყო. განვიხილოთ რამდენიმე ქვეყნის საარჩევნო სისტემები: ნიდერლანდებში არჩევნებში მონაწილეობის უფლება ყველა მამაკაცს 1917 წლიდან მიეცა, ხოლო ქალებს – 1919 წლიდან.

აშშ-ში ქალებმა არჩევნებში მონაწილეობის უფლება 1918 წელს მიიღეს, საფრანგეთში – 1944 წლიდან, იტალიაში – 1945 წლიდან, საბერძნეთში – 1956 წლიდან, შვეიცარიაში – 1971 წლიდან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შავკანიანმა მოსახლეობამ აშშ-ში არჩევნებში

გაგრძელება მე-2 გვერდზე

მონაწილეობის უფლება მოიპოვა 1960 წლიდან, ხოლო ზოგიერთ შტატში – 1970 წლიდან.

ილია ჭავჭავაძე ამომრჩეველთა სფეროს გაფართოებისა და დემოკრატიული საარჩევნო სისტემების დამკაიდრების აქტიური მხარდამჭერი იყო. იგი ამბობდა: „ხმა და არჩევანის უფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია. მაშასადამე, ყოველს მცხოვრებს ყოველს მოღვაწეობაშიც ხვედრი წილი უნდა მიუძღვდეს“.

ილიამ გაილაშქრა ისეთი სასჯელის წინააღმდეგ, როგორიც იყო სიკვდილით დასჯა, რასაც წინ უძღვდა რუსეთის იმპერიაში გატარებული რეფორმები მე-19 საუკუნეში მიმდინარე პროცესების შესახებ. მოკლე ისტორიული მიმოხილვა ასეთია:

ალექსანდრე პირველის დროს, 1810 წელს შეიქმნა სახელმწიფო საბჭო. იგი წარმოადგენდა იმპერიის სათათბირო ორგანოს, რომლის ფუნქცია იყო იმპერატორის წინაშე დასამტკიცებლად წარსადგენი კანონპროექტებისგანხილვა. 1906 წელს, 9 მარტს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრება ილიას ირჩევს სახელმწიფო საბჭოს წევრთა ამომრჩევლად, ხოლო პეტერბურგში ჩასულ ილიას, 8 აპრილს, სახელმწიფო საბჭოს წევრად, საქართველოს თავადაზნაურობის წარმომადგენლად ირჩევენ. ამ დროს რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში ბევრ სხვა დემოკრატიულ კანონპროექტთან ერთად, სიკვდილის დასჯის აკრძალვის შესახებ დაიწყო მუშაობა, რომელიც უმნიშვნელოვანესი ჰუმანური აქტი იყო. ეს მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვისაც, რადგან საქართველო რევოლუციური აქტიურობით გამოირჩეოდა. საქართველოში განხორციელებული სასიკვდილო განაჩენები, მართალია, დიდს არა, მაგრამ ზიანს აყენებდა ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიულ ფონდს. ილიას გამოსვლის ოფიციალური ტექსტი არა არის შემონახული ოფიციალურ დოკუმენტებში, მაგრამ ამ ფაქტს ადასტურებენ ოფიციალური პირები.

ბოლევაძე ილიას სიტყვებს იხსენებს: „გუშინ საღამოს დავასრულე ჩემი მოხსენება სიკვდილით დასჯის შესახებ. ამ დღეებში წავუკითხავ ჩვენს წრეს, მერე კი, სახელმწიფო საბჭოს“. მ. კოვალევსკი აცხადებდა: „პროფესორ ტაგანცევთან ერთად, თავადი ჭავჭავაძეც სიკვდილით დასჯის გაუქმების მოთხოვნით გამოვიდა“. 1906 წლის 19 ივნისს სახელმწიფო სათათბირომ მიიღო კანონპროექტი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ და პროცედურის დაცვით გადაუგზავნა სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად.

გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ილიას იდეებმა ხორცესხმა დაიწყო. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქვეყნის ძირითადი კანონი-კონსტიტუცია, რომლის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი შინაარსით:

სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება – სიკვდილით დასჯა გამოიყენება სიცოცხლის წინააღმდეგ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის, მის სრულ გაუქმებამდე.

1996 წლის მიწურულს, საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმი გამოაცხადა. 1997 წლის 11 ნოემბერს, პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა. კონსტიტუციის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტში გაჩნდა ჩანაწერები – სიკვდილით დასჯა აკრძალულია. ასე, რომ ილიას იდეამ, სიკვდილით დასჯის გამოყენების გაუქმების მოთხოვნამ ხორცი შეისხა 90 წლის შემდეგ.

ო. გამყრელიძის ნაშრომს გააჩნია თეორიული და პრაქტიკული ლირებულება. იგი დახმარებას გაუწევს როგორც მეცნიერ-მუშაკებს, ასევე – ილიას შემოქმედებით დაინტერესებული საზოგადოების ფართო წრეს.

**მალხაზ ლომისაძე,** სამართლის დოქტორი, პროფესორი, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი



## შინასი იუბილისი



**შინა მალხოდაძე** – პროფესიით


ისტორიკოსი და მხატვარი.

ზავშვილიშვილ ნერს ლექსებს.

პერიოდიულად იწყდებოდა საქართველოს სხვადასხვა უურნალ-გაზეულებში. არის ისტორიის, ხატვისა და ხელოვნების პედაგოგი.



ხელები შზისკენ  
განვიღო პეშვით,  
ვარდისფრად ფეოქვა  
ჩიტუნას მკერდში,  
ნიავის სუნოქვა,  
აპრილის ოქეში  
და გულის ხეოქვა...  
და შენთან ერთად,  
ოწენის ფრთებით,  
ვარდისფერ წაზე  
იერი ლურჯად, –  
სულ ზოუკა-ზოუკა...  
შეფნიერება –  
სულ ერთი მუჭა...  
მე ოვალებს ვხუჭავ...



მენაფრენი! ნისლიან  
და სევდიან ქარებში  
დაფრენს სული, უურნაურ  
მარტონას ჩვეული...  
მაგრამ, მოულონენელად,  
შენგან გამორჩეული  
ფრთებს ისწორებს, ანაზღადა,  
და ზერისკენ მიინევს...  
გულო, გახსენ კარები!  
ველად ნუ გაიჭრები...  
განზე გაღერ, ეჭვებო...





## მასას აუდიციანი



მთავარი დაბრუნებული

ფრთხ მოგონებად  
შერჩა სტრიქონებს,  
გახსოვს ზორუომი, პარკი?  
საქანელიზე შენი რწევა და  
ჩემი საწყალი დარღი...  
გზა გამოვლილი,  
ფაქტა ქვიშეთთან....  
მზე გარიურაუებს წვავდა...  
რამდენი წლისაუ მაშინ იყავი,  
გულის იმდენჯერ ფამნება!  
დღეს, ძველმოდური  
გული დარღებით,  
ისევ შემს გამო მღერის...  
ჭარბულებიან მზეზე ჭარბები,  
პალვარ იმ გზასთან გელი...

### მოდილიძე

უამი მწყხარების  
უიმედო ლამეში თვლემდა...  
და იგი მშეირი, გარიყული,  
სამშობლოს ნაცვრით  
გულშელონებული,  
ლამზე არის ფორმურადი  
გეღივით ჩაიკერ  
მსოფლიო ორომტრიალით  
გაზინძურებულ ფრონებაში  
და თავისი ნახატივით  
არაბუნებრივი სილუეტით  
გარ და ის ვა ას...  
მეორე დღეს მოვიდა  
მსოფლიო დიდება...  
და გამჟამა მის სულს  
ფერი, უფრინებული,  
არაგეომეტრიული  
პლასტიკით  
და აზიარა  
წისუერ სევდას...

\* \* \*

ქერა თმაზე  
კულულები გაყრია  
და თვალებში  
ჩაგდომის მზის შექი,  
მკარივ სხეულზე  
კოხტად შემოგსალტვია  
კარა თხელი,  
სალიანი და მუქი...  
ვაჟებს მოსწონთ  
შენი აგებულება,  
შეგაქერიან  
ვნებიანი თვალებით...  
მე კი სხვა ვარ, —  
ორგვარი მაქვს შუნება:  
მიყვარს ქალი,  
იდუმალი გუნებით...

### აპიმის აპეტი

გულში დარდება ჩაიბუდა  
და უსიტყვოდ დამნებდა,  
რა იქმან, უსიტყვონა  
ასე თუ გადამრევდა...  
და ახლა ვარ მოზიარე  
ჩემი ჩემი ნალველის,  
მარტონის ვეზიარე  
შეუწინობლის სახელით.  
წხოვრობს ასე, ჩემს მეზობლად  
წვიმის წვეთი ობილი,  
სიმარტოვით იმიზეზებს  
სევდას, სევდით მოგონილს...

### მამა

გახსენით ფარდა, ერთხელ კიდევ, გახსენით ფარდა...  
მე მომენაჭრა მამაჩემის სილვა სენაზე,  
ივნისის თვეში მსახიობი გარდაისვალა,  
მიაწილებდა უჩემბის შორი სინაზე...  
ნაომარ ქალაქს, სისხლიანი თეატრის კედლებს  
პირზეშემშრალი ლიმილიდან წვეთდა ქვითინი,  
სიუარიელით სავსე დარბაზს ჩრდილები კვეთდა,  
ავანსერნაზე სუფლიორად იჭა ქირქილი...  
შენვის სხვა იყო, სულ სხვა ელდა ეს სხვისი ომი,  
რაფგან ყოველოვის ავ ქართაგან ძმონა გვიავდა,  
მაგრამ შინაურს მორეოდა მჭრის ავი გონი,  
განწირებულ იყო, ჩვენი ძმონა, ჩვენი ერთონა...  
შორით ლოდინი, ყრუ ქვითინი, ხმა იდუმალი,  
მიგარილებდა ბოლო გზაზე ლორვით უფალი,  
ლორუბელს ესვენა შენი სული, ზამდე კეთილი  
და სამი კარი იყო შენი ჭირისუფალი...  
ქარდაჭებილი დღეების და წვიმების მერე,  
არ მე ვყოფილვარ დალხენილი, შენი რედის ვარ...  
შვილმა, სიმნარე, საყუენის საგზლად ავილე,  
მამის საფლავთან დაჩოქება რომ არ მელირსა...  
გახსენით ფარდა, კიდევ ერთხელ გახსენით ფარდა!!!

\* \* \*

დადის ქვეუნად რამდენი  
მოგონილი იერით,  
ინერება ლექსები  
და ივსერა რვეული....  
სარ ზედის ნებიერი,  
უძეფობით შერდები....  
შენ, უილტლო პოეტი,  
ილტლიანი ლექსებით...  
უფლის შენჯ გაქვს ნიალონა,  
აგულის სარ, ტრიფონი,  
„კენჭირ“ მოგინევია,  
სიგარეჭი „ვინსტონი“.  
უძერავლი  
„როკ-ენფ-როლს“  
„კომუნისტურ“ სანაში,  
თამაშობდი მთავარ როლს  
ნიოლ მეფის არამაში...  
ლვინო სვი და გეგონა,  
ეს ქვეყანა შენია,  
სხვას რა შერჩა  
ამქვეყნად? —  
შენჯ არა შეგრჩენია...  
ფრთხ ნალექა ყოველი,  
შეკრა სულ სხვა კამინა,  
დარჩი თავისუფალი  
როი ჭოხის ამარა...

## ბისის აუდიტორი



შინაგანი დანართი

\* \* \*

ჩამოიფურდნა  
ლარნაკში ვარდი,  
ფრთა შეკვერა  
სულში იმედექს,  
ისე მიყვარდი,  
ისე მიყვარდი,  
სიყვარულისთვის  
კურ გაგიმეტე...

### ძირის დაგენერაციის მიზანი

ნუ მიყურებ ამლვრეული თვალებით!..  
მე არ ვარ მხოლოდ ქალი!..

როგორი ვინროა შენი თვალსაწინერი. გაზაფხულის ყვავილების გასაოჯარ ელვარებაში ვერ ხედავ იმას, რაუ უნდა დაინახო, შეიგრძნო, სული გაიმშვენისო. სული, ჰო, სული... მაგრამ შენი სული სხეულში ჩაშენერულ ქვითურის გალავანში გაავს გამომწყვეფეული და ვერ გრძნობს ნეკერჩხლისფერი საღამოს სიღიადეს, ვერ გრძნობს, შენი წრემლებით როგორ ტირის ვილავა, როგორ სრივა გაყვითლებულ ფოთოლს ქარის ერთი შემოქროლვის მოლოდინში, ვერ გრძნობს მის ტკივილს, ვერს უკანასკნელ გზაზე ძირს დაგდებული მიხაის განწყას გრძნობს...

სამწყაროა ეს ყველაფერი, მაგრამ არ მიკვირს იმიჭომ, რომ ჩვენს გარშემო სიყვარულის გვალვებია და კიდევ იმიჭომ, რომ წხოვრებამ, რომელიც ჰერიომორლვეული, ადიდებული მდინარესავით მიპქრის, თან გაიყოლა ლიმილი, სითრო, კეთილშორისება, რომლითაც დიდხანს უნდა ესაზრდოებინა ადამიანთა სულები. ამიჭომ არის მშვენიერება შენს თვალში გაძარცვული! ვარსკვლავიანი წა კალოზე დაგდებული კუპრი გგონია...

**მერწოლეობი. მაგ ამლვრეული, უნმორეული თვალების რომ კუურებ.**

**მერწოლეობი!**

მაქხოვრის ჰუარი ჩამოგიხსნა მხრებიდან და უგულოდ, უწერმლოდ, უციყიდილოდ. უციყვარულოდ დათარები წრდებილ დედამინაზე, მერწოლეობი, სიყვარულის ჩამუშტულ ნაკერებლებზე სულის ერთი შეწერავა რომ გეზარება. მერწოლეობი, იმ დროში რომ წხოვრება, საფრა „უცილაფერი იყიდება“ და შენ დაგირნებულია შენი თავი, რომ ყველაფერი იყიდება...

**კრძა სიმრალული! მე არ ვიყიდები!**

იქნებ ხმალული ნაცვამად მოგეჩენის!

მე ის არ ვარ, რასაუ შენ ხედავ. რაუ ასე ალგაგზნებს წხოვლურად და რაუ ასე ძალიან მოგნონს, – ეს სხეულია, რომელიც უფალმა გაიმეტა ჩემი სულის სამოსად, მე არ მიზრუნია ამაზე. მე ის ვარ, რასაუ შენ ვერ ხედავ. ვერ გრძნობ, რაუ შიგნით არის ამ დროებით ნათხოვარ სხეულში, – ჩემი სული! მე ის ნეკერჩხლისფერი საღამო ვარ, შენ რომ ვერ შეამჩნიე, მე ის წრემლი ვარ, შენს მაგივრად რომ ვჭირი, მე ის გაყვითლებული ფოთოლი ვარ, ქარის ერთი შემოქროლვა რომ მომისკობს სისრხლეს და შენ რომ უდარფელად ფეხს დაკარიჟებ. ის ძირს დაყარწილი მიხაი ვარ, რომელსაუ კიდევ დიდხანს უნდოდა, თავისი მშვენიერებით გაეთრო ადამიანთა გაყინული გულები, ის ვარსკვლავებიანი წა და მაქხოვრის ჰუარი მე ვარ, შენ რომ ვერ გაყიდელი მის სიმძიმეს და უმტკივნეულოდ მოიშორე. ყველაფერშია გამნეული ჩემი სული, რასაუ შენ ვერ ხედავ...

ნუ მიყურებ ქშენით და ამლვრეული თვალებით!

თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, შენ რომ მაინუ ვერ მხედავ!

### მოცულის გამარჯვება

მე თუ არ დავალ წალადა,  
ულელში ეულ ხარადა,  
თუ ვიყურები თვალადა,  
ვდგავარ ხმალად და ფარადა.  
თუ გამოვლიე შენამზე  
ძნელად სავალი შარა და  
ავიკიბევე ზენამზე  
და წას ავეპარ კარადა.  
როგორ გაქრიე ნატვრიდან  
სისრხლედ, ჩემდა თავადა,  
ანდა, უზრალო მხაჭვრილ  
გრძნობად მოვარონილ ზვავადა...  
თუ სიყვარულის სამოსი  
მიმშენებს სულის და ფანასა,  
თუ მზეს არ ვგავარ, ჩამოქლილს,  
ანდა, ალესილ დანასა...  
თუ ყვავილების ნამქერი  
კვლავ დაპქრის ჩემსა შარასა,  
ნარსულის ფურულებს გავსერი,  
ვიო გირდავილ ანასა?  
მაფლი ვით გარგო, რა გითხრა,  
ვით მივდგე სიტყვის ძალასა?  
ნვიმამ ყაყაჩოდ მაქრია,  
შენ – ნამად ჩემის ყანასა,  
ანდა, ჰეპელად ყვავილზე,  
ან წად, შენ – მინის კამარად,  
ნავს ვგავარ, მურავს ნაპირზე,  
შენ კი, ზღვას, ნავის სამანად.  
შენი ფეხვით და საზრდოობი  
მოსულვარ იასამანად!  
მე თუ არ დავალ წალადა,  
ულელში შეტმულ ხარადა,  
თუ ვიყურები თვალადა,  
ვდგავარ ხმალად და ფარადა,  
თუ გამოვლიე შენამზე  
ძნელად სავალი შარა და,  
რაფგან მოვეფი შენამზე, –  
შენი ვარ ან და მარადა!..



პრისტი და მეზისტოზელი  
(პიტლიდები პრეზიდენტის პრისტი)

ვესალიუთები ტაბრის გუმბათებს,  
ნალმა ტრიალებს თითქოს სოფელი,  
ვიზრე ავრედი დაგვამუნათებს  
და მოვერევა მეფისტოფელი...  
ჩემს სასოფელო მფრედი აფრინდა  
და ზეთისხილი შემოგარა,  
ნამოვიძრო თავშესაფრილ  
და ფავესენი ნეულ საფანას!  
უკან დავჭოვე გზა სიმძიმეს,  
ჩემი ნეული და ლიქნი მზაკვრული,  
ლმერო, მიჩვენე ქრისტეს ლიმილი,  
მეფისტოფელი – ჰარზე გაკრული!!!